

შეზღუდული შესაძლებლობის სოციოლოგიური პერსპექტივა:

თოერია და ემპირიული მონაცემები

ნია წულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ანა ჟვანია, ასისტენტ-პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

შესაძლებლობის შეზღუდვა ყოველთვის წარმოადგენდა განხილვის საგანს დროსა და სივრცეში. ეს კონცეპცია მოიცავს სამედიცინო და სოციალური მოდელის შეფასებას, როგორც ტრადიციული, აგრეთვე თანამედროვე სოციალური თეორეტიკოსების მხრიდან. წინამდებარე კვლევაში შესაძლებლობის შეზღუდვა განხილულია სამი ძირითადი სოციოლოგიური მიდგომით – ფუნქციონალური, ინტერაქციული და კრიტიკული თეორიების საფუძველზე. კვლევაში განხილულია სოციო-კულტურული და ღირებულებითი ორიენტაციის გავლენა შშმპ-ს სტატუსზე და სტატისტიკურ მონაცემზე.

*ძირითადი საძიებო სიტყვები: თეორიული პერსპექტივა, დევიაცია, სოციალური უზრუნველყოფა, სტატისტიკა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი*